ოქმი

2024 წლის 9 დეკემბერს ჩატარდა ბმა 'ძველი ეზო' საერთო კრება.

კრებას ესწრებოდა 9 წევრიდან 6, რაც შეადგენს 2/3 -ს კრება უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები. დღის წესრიგი: მოქ: თამარ ფარესიშვილი (01005034054), რომელსაც არენდით აქვს აღებული ფართი რობერტ სილაგაძისგან. განცხადება რუსთაველის 44-ის მხრიდან,სარეკლამო აბრის განთავსებაზე თანხმობა.

საკითხი კრებას გააცნო ბმა 'ძველი ეზო რუსთაველზე' თავჯდომარე შორენა მიქაბერიძემ (01017005423) მცხოვრები რუსთაველის გამზირი 44/35 და იგივე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, რასაც ყველა დამსწრემ მისცა თანხმობა.

დაადგინეს, მოქ: თამარ ფარესიშვილის პ/ნ 01005034054, მაცხოვრებელი: დიღმის მასივი 4 კვარტალი, 13 კორპუსი.

მიეცეს თანხმობა რუსთაველის 44-ის მხრიდან განათავსოს სარეკლამო აბრა.

ბმა 'ძველი ეზო რუსთაველზე'-ს თავჯდომარე, შ.მიქაბერიძე.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N241641184**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**12.12.2024 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლია გოგია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი რუსთაველის გამზ. 46**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2997950**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**83507269601024**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდაოთხი წლის თორმეტ დეკემბერს მე, ნოტარიუსს ლია გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის #46, მომმართა **შორენა მიქაბერიძემ.** მან წარმოადგინა ოქმი და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და სამოქალაქო რეესტრის ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **შორენა მიქაბერიძემ** (დაბ. 28.08.1955წ., პ/#01017005423, პ/მოწ. #24IA42660, გაცემული 28.06.2024 წ. იუსტიც. სამინ. მიერ, რეგ. მისამართი: **თბილისი შოთა რუსთაველის გამზ. N 44/35**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ჩემს, ნოტარიუს ლია გოგიას მიერ, იქნა განმარტებული, რომ მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პიროვნებას ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს და შესაბამისად პასუხს არ აგებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობაზე. მან დაადასტურა, რომ დოკუმენტი ზუსტად ასახავს კრების მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას, რასაც ვადასტურებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 12 (თორმეტი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი). 1 გვერდი, 2 ეგზემპლარი

ნოტარიუსი ლია გოგია:

თარიღი————————————

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „————————————————————————"

წევრთა სია

კრების გადაწყვეტილება

9.12.2024

№	ბინის მესაკუთრის სახელი, გვარი; იურიდიული პირის დასახელება	ტელეფონის №	პირადი №	ხელმოწერა
1	ჟუჟუნა მიქაბერიძე	599552017	01017005423	
2	ვლადიმერ ვაჭნაძე	577586530	01026001534	
3	ციალა ვაჭნაძე	577-403307	01026001976	
4	[illegible]	595246240	01011019198	
5	[illegible]			
6	[illegible]	599104881	01012019151	
7	[illegible]			
8	[illegible]	5912225101	01017035382	
9	ნათელა კეკელიძე	599446904	01017031496	
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				

საიჯარო ხელშეკრულება

ქ.თბილისი
წელი

7 დეკემბერი, 2024

მუხლი 1. მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთის მხრივ შპს. ბიზქეის (ს/ნ 402324418) (შემდგომში - ~~მეიჯარე~~) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ფაფრესიშვილის (პ/ნ 01005034054) სახით შემდგომში (მოიჯარე)

და, მეორეს მხრივ შპს „ვიზა კონკორდ ფროფერთი“ (საიდ. 404526795) წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტ სილაგაძის (პ/ნ 01011019198) სახით (შემდგომში - მეიჯარე).

მუხლი 2. ხელსეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფეძველზე მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს იჯარით მეიჯარის ფართს ქალაქი თბილისი, გამზირი რუსთაველი, N44; ქალაქი თბილისი, ქუჩა გრიბოედოვი, N35, ფართი: 19.80 კვ.მ; საკადასტრო კოდი: 01.15.05.008.016.10.501.

2.2 მეიჯარე ადასტურებს, რომ საიჯარო ფართი არის მისი საკუთრება, რომლის განკარგვაზეც მას გააჩნია შეუზღუდავი უფლებამოსილება.

2.3 მოიჯარე ადასტურებს, რომ იგი გაეცნო საიჯარო ფართის მდგომარეობას და საიჯარო ფართი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის აკმაყოფილებს მოიჯარის მოთხოვნებს.

მუხლი 3. ქონების გამოყენების მიზანი

საიჯარო ფართი ~~მიჯარეს~~ გადაეცემა კომერციული საქმიანობისათვის.

მუხლი 4. ფართის გადაცემის წესი

4.1 საიჯარო ფართი მოიჯარეს გადაეცემა 2024 წლის 7 ნოემბერს.

4.2 საიჯარო ფართის გადაცემა მოხდება მხარეთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მირება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2024 წლის 7 ნოემბერს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 11 (თერთმერტი) თვით.

მუხლი 6. საიჯარო ქირის ოდენობა და მისი გადახდის წესი

6.1 საიჯარო ქირის ყოველთვიური ოდენობა შეადგენს 300 (სამასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში - საიჯარო ქირა), გარდა პირველი ორი თვისა, როდესაც ქირა შეადგენს 150 აშშ დოლარს. საიჯარო ქირის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მოიჯარის შემდეგ ანგარიშზე GE71TB7754236080100003

6.2 საიჯარო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე მოიჯარე მეიჯარეს გადაუხდის პირველი და მეორე თვის ქირას, სულ 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით დღგ-ს ჩათვლით .

6.3 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

6.4 მოიჯარე გადაუხდის მეიჯარეს ყოველთვიურ საიჯარო ქირას ყოველი კალენდარული თვის 7 -დან 10 რიცხვამდე.

6.5 ხელშეკრულების 6.3 პუნქტში აღნიშნულ ვადებში საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს დააკისროს მოიჯარეს პირგასამტეხლო, არ გადახდილი თანხის 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6 კომუნალური გადასახადები: ელ. ენერგიის, დასუფთავების, წყლის, ტელეფონისა და ინტერნეტის მომსახურების თანხა არ შედის საიჯარო ქირაში და მის გადახდაზე პასუხისმგებელია მოიჯარე.

მუხლი 7. საიჯარო ფართის უნაკლობა

7.1 მეიჯარე ადასტურებს, რომ საიჯარო ფართი წარმოადგენს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთს. იგი არ არის სადავო და ყადაღადადებული. ამ ხელშეკრულების დადებამდე მეიჯარეს საიჯარო ფართი არ გაუსხვისებია, არ დაუგირავებია და მესამე პირებს არ შეიძლება რაიმე სახის პრეტენზია ჰქონდეთ საიჯარო ფართის მიმართ და იგი არ არის აკრძალვის ქვეშ.

7.2 მეიჯარე ადასტურებს, რომ საიჯარო ფართის შესახებ არ მიმდინარეობს მესამე პირებთან რაიმე სახის დავა, მათ შორის სასამართლო.

7.3 მეიჯარე ადასტურებს, რომ მის წინააღმდეგ არ წარმოებს არანაირი სასამართლო ან ადმინისტრაციული საქმე, რომელიც შეიძლება რაიმე სახით ეხებოდეს საიჯარო ფართს, ან შეიძლება გავლენა იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა მე-7 მუხლის 7.1, 7.2 და 7.3 პუნქტების მოთხოვნები ან რაიმე გზით საიჯარო ფართი აღმოჩნდება უფლებრივად ნაკლის მქონე, მოიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი, ხოლო მოიჯარეს აუნაზღაუროს ნაკლის გამო მიყენებული ზიანი.

მუხლი 8. მეიჯარის უფლებები და ვალდებულებები

8.1 მეიჯარე ვალდებულია:

8.1.1 უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.1.2 ხელი შეუწყოს მოიჯარეს ამ ხელშეკრულებით იჯარის უფლების ჯეროვან რეალიზაციაში, ისევე როგორც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი სხვა უფლების რეალიზაციაში;

8.1.3 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს და დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი პირობა თუ ვალდებულება.

8.2 მეიჯარეს უფლება აქვს:

8.2.1 ნებისმიერ დროს შეამოწმოს საიჯარო ფართის მდგომარეობა მოიჯარის წარმომადგენელთა თანხლებით. შეამოწმების დრო წინასწარ თანხმდება მოიჯარესთან.

მუხლი 9. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები

9.1. მოიჯარე ვალდებულია:

9.1.1 საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

9.1.2 დროულად და სრულად გადაიხადოს საიჯარო ქირა.

9.1.3 სათანადო წესრიგში იქონიოს საიჯარო ფართი, დაიცვას სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

9.2 მოიჯარეს უფლება აქვს:

9.2.1 შეუფერხებლად ისარგებლოს შენობაში არსებული კომუნიკაციებით.

9.2.2 მოაწყოს და გააფორმოს საიჯარო ფართი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

9.2.3 გამოიყენოს ან სხვას მისცეს უფლება გამოიყენოს საიჯარო ფართის მისამართი ოფიციალურ დოკუმენტებსა და სარეკლამო მასალებში.

9.2.4 ისარგებლოს საიჯარო ფართთან მისასვლელი გზებით, იმავე ფარგლებში, როგორც ამით სარგებლობდა მეიჯარე.

9.2.5 საიჯარო ფართზე დაამონტაჟოს მისთვის ყველა აუცილებელი მოწყობილობა-ინვენტარი, ხოლო ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას ან ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვიტის შემთხვევაში საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგოს ამ ქვეპუნქტში აღნიშნული მოწყობილობა-ინვენტარი;

მუხლი 10. საიჯარო ფართის მეიჯარისთვის დაბრუნების წესი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე ან ვადაზე ადრე შეწყვიტის შემთხვევაში, მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას ქონება დააბრუნოს ფუნქციონალურ მდგომარეობაში, საიჯარო ქონების ნორმალური ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით.

10.2 საიჯარო ფართის დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება, ყველა სხვა მუხლებში აღნიშნულის გარდა შეიძლება ვადაზე ადრე მოიშალოს:

11.1.1 ერთ-ერთი მხარის მიერ, თუ მეორე მხარე არ ასრულებს შელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და მიუხედავად მეორე მხარის მიერ წერილობითი ოფიცლიალური გაფრთხილებისა, მაინც არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. ოფიციალურ გაფრთხილებად მიიჩნევა წერილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

11.1.2 მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის წინასწარ 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტისას მოიჯარეს არ უბრუნდება მის მიერ წინასწარ გადახდილი ბოლო თვის იჯარის გადასახადი.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება უპირობოდ, ყოველგვარი დამატებითი სანქციების დაწესების გარეშე, მოიშალოს:

11.2.1 მეიჯარის მხრიდან თუ მოიჯარე არ გადაიხდის ან გადაიხდის არასრულად იჯარას შეთანხმებული ვადიდან 10 დღიანი ან მეტი დაგვიანებით, ამ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოიჯარეს მოსთხოვოს ფართის 10 დღიან ვადაში დაცლა და დაბრუნება.

11.2.2 თუ ქონება მოიჯარის ბრალის გარეშე გახდა გამოუსადეგარი მოიჯარის საქმიანობის განსახორციელებლად.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 არცერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ფორს-მაჟორი ნიშნავს ყველა შემთხვევას, რომელიც არის მხარის გონივრულ კონტროლს მიღმა და რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ ვალდებულებების შესწულებას. ფორს-მაჟორული გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე პანდემიას, ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო ან სხვა მსგავს მოქმედებებს.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაშო, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და შეატყობინოს მეორე მხარეს ნორმალური პირობების აღდგენის შესახებ პირველივე შესაძლებლობისთანავე.

13.4 მხარეს, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, ფორს-მაჟორის მოქმედების ვადით გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორს-მაჟორულმა გარემოებამ და იგი არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესწულებისაგან. რომელსაც ხელს არ უშლის ფორს-მაჟორული გარემოება.

მუხლი 14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მასში დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

14.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შეგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ჩება მოიჯარეს, ხოლო მეორე ბარდება მეიჯარეს.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
შპს „ვიზა კონკორდ ფროფერთი“ (საიდ. 404526795) წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტ სილაგაძის (პ/ნ 01011019198) სახით პ/ნ 01011019198	შპს. ბიზქეის (ს/ნ 402324418) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ფაფრესაშვილის (პ/ნ 01005034054)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N241489078**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**07.11.2024 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნარგიზა ჯანხოთელი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი რუსთაველის გამზ. 18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**032 2 990506**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**74869274286924**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ქალაქი თბილისი, **ორი ათას ოცდაოთხი წლის** შვიდი ნოემბერი. მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **საიჯარო** ხელშეკრულებაზე (07.11.2024 წ.), რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **თამარ ფარესიშვილის** (დაბადებული 25.08.1996 წელს, რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი IV კვ. კორ. 13 ბ. 57, პირადი № 01005034054) და **რობერტ სილაგაძის** (დაბადებული 03.04.1984 წელს, რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. N 17, ბინა 6, პირადი № 01011019198) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მის მიერ ჩემი თანდასწრებით დოკუმენტის 5 გვერდზე. მათი ვინაობა, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 80.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 14.40 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 99.40 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

